შემოსული სიგნალების საფუძველზე ქვერეთის დასასვენებელ სახლში შემოწმდა დამსვენებელთა კვების ორგანიზაცია. პროდუქტების საწყობის გამგეს 180 მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა, ირღვეოდა დამსვენებელთა კვების რაციონი, დაცული არ იყო კერძების კალორიულობა. დამნაშავენი დაისაჯნენ, მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ვ. ტაბატაძემ შეამოწმა აგრეთვე საჩხერის საკონსერვო ქარხანაში და „საქკოოპმრეწვის“ გაერთიანებაში მოწყობილობათა და მასალების ეფექტურად გამოყენების საკითხი. ფეიხოლმა თვალმა ამ საწარმოებში ბევრი გამოუყენებელი რეზერვი ნახა. 7,101 მანეთის დაუდგმელი მოწყობილობა და 152 ათასი ლილა სახლში შემოწმდა დამსვენებელთა კვების ორგანიზაცია. პროდუქტების საწყობის გამგეს 180 მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა, ირღვეოდა დამსვენებელთა კვების რაციონი, დაცული არ იყო კერძების კალორიულობა. დამნაშავენი დაისაჯნენ, მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ვ. ტაბატაძემ შეამოწმა აგრეთვე საჩხერის საკონსერვო ქარხანაში და „საქკოოპმრეწვის“ გაერთიანებაში მოწყობილობათა და მასალების ეფექტურად გამოყენების საკითხი. ფეიხოლმა თვალმა ამ საწარმოებში ბევრი გამოუყენებელი რეზერვი ნახა. 7,101 მანეთის დაუდგმელი მოწყობილობა და 152 ათასი ლილა

ამ საკითხზე დროულად დაისვა ეკონომიკური გამგეობის წინაშე და მდგომარეობაც გამოსწორდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე ფართო მსჯელობა იყო მეცხოველეობის გადაუჭარელ პრობლემებზე. ამ საკითხის არსში ჩაწვდომა სახალხო კონტროლიორების უპირველესი ამოცანაა. ასეც იქცევა შტატგარეშე ინსპექტორი. იგი პრაქტიკული დახმარებისათვის მიმგზავრებულია კორბოულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის სათაო და საუბნო ჯგუფებზე. მათთან ერთობლივი მუშაობით შეამოწმა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვის საკვების რაციონალურად გამოყენების საკითხი. გამოირკვა, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ იყო. საკვების დამზადებისადმი გულგრილობით და მისი შენახვის წესების დარღვევის გამო დაზიანებული აღმოჩნდა 1.200 მანეთის საკვები. გარდა ამისა, გამოვლინდა წვრილმანი ქურდობის რამდენიმე შემთხვევა და 531 მანეთის საწვავ-საცხები მასალების გადახარჯვა. ამის შესახებ საკითხი დაისვა მეურნეობის ხელმძღვანელობისა და პარტიული კომიტეტის წინაშე. მიღებული ზომების შედეგად მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორებულა.

— შტატგარეშე ინსპექტორი ვ. ტაბატაძე, — თქვა საუბარში სახალხო კონტროლის საჩხერის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ლაშხმა, — ერთ-ერთი აქტიური მუშაკია. მას გარშემო შემოკრებილი ჰყავს რგვალი კონტროლიორები, შრომის მოწინავე ადამიანები და შეურიგებლად იბრძვის ყოველგვარ დარღვევა-დამახინჯებებს. იგი ერთადერთი როდია ჩვენს აქტივში. სწორედ ასეთი, საქმის მცოდნე, პატიოსანი და პრინციპული ადამიანები გვეხმარებიან იმ დიდი მოვალეობის პირნათლად შესრულებაში, რასაც პარტია უყენებს სახალხო კონტროლის ორგანოებს თანამედროვე ეტაპზე.

ო. ნიჟაბაძე.

კონსულტაცია

შემოწმების მეთოდები

სახალხო კონტროლიორთა საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმას, თუ რა მეთოდებით უნდა მოაწყონ შემოწმება, რათა საქმის მდგომარეობაზე სრული და ნათელი წარმოდგენა შეიქმნას.

სახალხო კონტროლიორთა მუშაობის გამოცდილების შესწავლას შედეგად შემოშავებულია შემოწმების რამდენიმე მეთოდი, რომლებსაც ისინი ხშირად იყენებენ თავიანთ საქმიანობაში. ასეთია, მაგალითად, უშუალო დაკვირვების, შეპირისპირებისა და შედარების, ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის, საბალანსო, ლაბორატორიული ანალიზის, სტატისტიკური დაჯგუფების და სხვა მეთოდები.

აქედან სახალხო კონტროლიორები შემოწმებისას ხშირად სარგებლობენ არა ერთი, არამედ რამდენიმე მეთოდით. მაგალითად, ყველაზე ფართო უშუალო დაკვირვების მეთოდით სარგებლობენ. იგი გამოიყენება მატერიალურ ფასეულობათა შენახვის მდგომარეობის, მანქანებისა და მოწყობილობის სწორად გამოყენების, შრომის ორგანიზაციისა და სხვა ამგვარი საკითხების შემოწმების დროს. საქმის ორმად შესწავლის მიზნით კონტროლიორები შეპირისპირებისა და შედარების მეთოდსაც იყენებენ. ეს აუცილებელია, როცა გამოწმებით სოციალისტური საკუთრების დაცვის, ალრიცხვის, სახსრების ხარჯვის სისწორის მდგომარეობას.

ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი საჭიროა კვარტალური, წლიური ანგარიშების მიხედვით განზოგადებული მასალების სისწორის დასადგენად ხშირად მატერიალურ ფასეულობათა არსებული ნაშთის სისწორის დასადგენად საჭიროა შემოწმების სანდალოსო მეთოდის გამოყენება. მისი არსი შემოსავლისა და გასავლის შესახებ მონაცემების შესწავლა და არსებულ ნაშთთან მათი შესაბამისობის დადგენა.

ლაბორატორიული ანალიზი საშუალებას იძლევა განსაზღვროს სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ხარისხი. მუშაობაში საინტერესოა ეგრეთვე სტატისტიკური დაჯგუფების მეთოდის გამოყენება. იგი იმას გულისხმობს, რომ საწარმოების, მეურნეობების ერთი ჯგუფის მაჩვენებლებს უპირისპირებენ მეორე ჯგუფის ასეთსავე მაჩვენებლებს.

„ კომუნისტის“ კრიტიკული ჯამოსვლის შემდეგ

ვის ხარჯზე!

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომი.

„კომუნისტის“ სპეციალურ გვერდში — „მახების კონტროლით!“ მოთავსებული იყო კრიტიკული წერილი — „ვის ხარჯზე!“, რომელიც ეხებოდა ამბროლაურის რაიონის ზოგიერთ ორგანიზაციაში, სამსახურებრივი მივლინებისათვის გამოყოფილი სახსრების უკანონოდ ხარჯვას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა. ა. შარაბიძემ გვაცნობა: წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. დასახელებულ ორგანიზაციებში ირღვეოდა მუშაობა მივლინებაში გაგზავნის, დადგენილი წესები, მოუგავრებელი იყო მივლინებათა აღრიცხვის ფურნალი. დაუდევრად იგსებოდა სამივლინებო ფურცლები, ავადმყოფ ქონდ თანხების არასწორად „კანგარიშებას“ და გაცემას.

საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომმა და რაიონულ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელეს ამ დარღვევებზე და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი. სამივლინებო თანხების ხარჯვაში დარღვევებისათვის საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის, სახელმწიფო სატყეო მეურნეობის, „საქკოამშენის“ ამბროლაურის სამშენებლო უბნის, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, „ამბროლაურგაზის“ კონტორის, ყველკარაქის ქარხნის, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების ხელმძღვანელებს — კ. დვალს, მ. ლომთათიძეს, ა. გოცირიძეს, ა. მემანიშვილს, ვ. ჭელიძეს, ნ. კობახიძეს, ვ. ქემოკლიძეს გამოეცხადათ სიყვედური, ამასთან გაფრთხილებულ იქნენ, რომ თუ არ მიიღებენ ყველა საჭირო ზომებს საფინანსო საქმეში მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად, უფრო მკაცრად დაისჯებიან.

საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის და „საქკოამშენის“ ამბროლაურის სამშენებლო უბნის ხელმძღვანელებს დვალსა და ა. გოცირიძეს დაევალთ უკანონოდ გაცემული თანხების დაბრუნება.

გამოცდილება

1. საჯაროობის ძალა

ამას წინათ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეისწავლა და განიხილა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობა საზოგადოებრივი ზემოქმედების და კონტროლის საჯაროობის საშუალებათა გამოყენების საქმეში. დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში მომხდარი დადებითი ტენდენციები და ძვრები, ამასთანავე დასახულია მათი შემდგომი განვითარების გზები და ამოცანები.

რესპუბლიკის სხვა ძირეულ ორგანიზაციებთან ერთად, სიღნაღის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი, ადგილებზე მისი ჯგუფები და საგუშაგოები სულ ახალ-ახალ ღონისძიებებს სახავენ სახალხო კონტროლის ქმედითობის, ბრძოლისუნარიანობისა და პრინციპულობის ამაღლებისათვის.

უნდა ვაღიაროთ, რომ რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობაში ყველაზე სუსტი რგოლი საინფორმაციო მეთოდური მუშაობა იყო. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის რჩევითა და მითითებით, რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის შტატგარეშე განყოფილებაში შეიქმნა საინფორმაციო-მეთოდური მუშაობის სექტორი.

საინფორმაციო-მეთოდური სექტორი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სახალხო კონტროლის ორგანოებში დაგროვილი დადებითი გამოცდილების განზოგადების, ჩატარებულ ღონისძიებათა საჯაროობისა და სახალხო კონტროლის მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის. პარტიის რაიკომმა, მიმდინარე წლის 9 ივნისის ბიუროს დადგენილებით პირველად პარტიული ორგანიზაციებს დაავალა სახალხო კონტროლის ჯგუფების მეთოდური მუშაობის ორგანიზაციაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო შესაძლებლობათა გამოყენება. პირველი პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. სოფელ ნუკრიანის და ქვემო მარხაანის კოლმეურნეობების სახალხო კონტროლის ჯგუფების სასოფლო ბიბლიოთეკებში მოაწყეს მეთოდური კუთხეები, საკონტროლო მუშაობისა და კონტროლის საჯაროობის ამსახველი ლიტერატურის გამოფენები. მუშაობის პრაქტიკაში შემოვიღეთ აგრეთვე სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის კონტროლის სათაო და საუბნო ჯგუფებზე. მათთან ერთობლივი მუშაობით შეამოწმა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვის საკვების რაციონალურად გამოყენების საკითხი. გამოირკვა, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ იყო. საკვების დამზადებისადმი გულგრილობით და მისი შენახვის წესების დარღვევის გამო დაზიანებული აღმოჩნდა 1.200 მანეთის საკვები. გარდა ამისა, გამოვლინდა წვრილმანი ქურდობის რამდენიმე შემთხვევა და 531 მანეთის საწვავ-საცხები მასალების გადახარჯვა. ამის შესახებ საკითხი დაისვა მეურნეობის ხელმძღვანელობისა და პარტიული კომიტეტის წინაშე. მიღებული ზომების შედეგადაა ეს ფაქტები აღარ განმეორებული.

შარშან და მიმდინარე წელს სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა სახელმწიფო დისციპლინის სხვადასხვა დარღვევისათვის 47 კაცს დაადო სასჯელი, 8 პიროვნება დაკავებული თანამდებობიდან გადააყენა, 389 პირს ხელფასიდან დაეკავა 4.836 მანეთი, 3 დამნაშავე მიეცემულ იქნა სასწლის სამართლის პასუხისმგებლობა. 42 პირის მიმართ, რომელთა მოქმედებაც ანგარებით ხასიათს არ ატარებდა, გამოყენებულ იქნა საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვადასხვა ფორმა.

რა თქმა უნდა, ეს ციფრები სრულიადაც არ არის ჩვენი დადებითი მუშაობის განმსაზღვრელი. მნიშვნელოვან ყურადღებას ჩვენს მუშაობაში ვაქცევთ და კვლავაც მივაქცევთ მასებში აღმზრდელობითი, პროფილაქტიკურ მუშაობას.

ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ჩატარებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის შედეგად გამოვლინდნენ ენნა ინვენტარისა და პროდუქტების დანაკლისი, სამიოლინეო თანხების უკანონოდ გაცემის ფაქტები, 34.945 მანეთი ზარალი, რაც გამოწვეული იყო სახელწიფოსათვის დაბალი ხარისხის პროდუქტების ჩაბარებით, იქ მომუშავე მუშაკების გულგრილობითა და დაუდეგრობით; შემოწმების შედეგები და გატარებული ღონისძიებები კონტროლის კომიტეტის წევრებმა მოახსენეს კოლმეურნეობის საერთო კრებას.

საზოგადებრივი ზემოქმედებისა და კონტროლის საჯაროობის საშუალებებს უნარიანად იყენებენ რაიონის სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობა. იგი ცდილობს ყოველთვის ყურადღებიანი ენტრრში იქონიოს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი-ეკონომიკური ცხოვრების ყველა კუნძული. ჯგუფმა გამოავლინა მეძროხეობის ფერმაში ნამატის შეწყვეტა-ვარდნა და მეღორეობის ფერმაში 11 სული ოჯის დანაკლისი. აღნიშნული საკითხი ჯგუფმა განსახილველად შეიტანა გამგეობის კრებაზე. დამნაშავენი სათანადოდ იქნენ დასჯილნი. ამ ფაქტებმა სათანადო ასახვა ჰპოვა კედლის გაზეთში, სადაც მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორებულა.

— შტატგარეშე ინსპექტორი ვ. ტაბატაძე, — თქვა საუბარში სახალხო კონტროლის საჩხერის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ლაშხმა, — ერთ-ერთი აქტიური მუშაკია. მას გარშემო შემოკრებილი ჰყავს რგვანი კონტროლიორები, შრომის მოწინავე ადამიანები და შეურიგებლად იბრძვის ყოველგვარ დარღვევა-დამახინჯებებს. იგი ერთადერთი როდია ჩვენს აქტივში. სწორედ ასეთი, საქმის მცოდნე, პატიოსანი და პრინციპული ადამიანები გვეხმარებიან იმ დიდი მოვალეობის პირნათლად შესრულებაში, რასაც პარტია უყენებს სახალხო კონტროლის ორგანოებს თანამედროვე ეტაპზე.

ო. ნიჟაბაძე.

გამოცდილება

2. ხარისხი — მთავარი თემა

ქმედითი კონტროლი ყველგან და ყველაფერში — ან დეფექტი, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ციხიის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის სათაო ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაში. მთელ სამოქმედო ტერიტორიას იკავებდ კონტროლიორ-აქტივისტი უწევს ზედამხედველობას. ძალიან ეშვიათად თუ გამოეპარებთ ჩვენს კონტროლიორებს რაიმე დარღვევა-დამახინჯება. თვითეული მათგანს მარილაც ასი ყური და ასი თვალი აქვს.

ციხილლმა კონტროლიორებმა მარტო წელს 13 საკითხი შეისწავლეს და თავის სათაო ჯგუფის სხდომაზე განიხილეს, რამაც საქმის უფველა, ნაკლოვანება გამოსწორდა, მოვიყვანთ ზოგიერთ დამახასიათებელ მაგალითს.

ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულზე კონტროლიორებმა ჩაის პლანტაციები დაათვალიერეს. მათ შეამჩნიეს, რომ ზოგიერთი მეჩაიე მენაკვეთეს არ ჰქონდა დაცული ბუჩქის სხვლის დადგენილი აგროწესები. ეს ნაკლი ყველაზე მეტად მეოთხე ბრიგადაში შეინიშნებოდა. რეგიონრება რომ არ მოგვიდნა, ბრიგადა სეზონში დიდძალ მწვანე ფოთოლს დაკარგავდა. ამიტომ კონტროლიორებმა ვახტანგ ატანელს. დაუყოვნებლივ ჩაიყვანეს საქმის ჯერსში კოლმეურნეობის კანონმდებლობა და მოითხოვეს სასწრაფო ზომების მიღება.

ხვნა-თესვის პერიოდისათვის ბრიგადები კარგად მოემზადნენ და ჩქარი ტემპითაც წარმართეს მუშაობა. მაგრამ ხნულის დათვალიერებამ საგალაო მდგომარეობა დაგვანახვა. ზოგიერთ ფართობზე თურმე ტრაქტორისტებს ღრმად არ მოუწევთ ნიადაგი, ხნულში მათ მიერ ბევრი ხარვეზი იყო დატოვებული. ეს ცხადია, გავლენას მოახდენდა სიმინდის მოსავლიანობაზე. შეამჩნიერდა მარცვლის წარმოებას. საკითხი სათაო ჯგუფის სხდომაზე განხილეთ. იქ დავიანწარით ტრაქტორისტები. მათ აღიარეს თავიანთი დანაშაული და დაგვპირდნენ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებას. მართლაც, ზერელედ დამუშავებული, ხარვეზიანი ყანები ხელმეორედ გადაიხნა და ისე დათესა სიმინდი.

ბილისის ტბალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეურნეო საქმიანობის დარღვევათა გამოვლენის საკითხებს.

სურათზე: ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფი ამოწმებს საწარმოს ელექტროსამანქანო საამქროს მუშაობას.

ვარდაბნის რაიონის კრწ

ფრთებს იხსნიან სვანი კაცის საუკუნოვანი ოცნება

მნყობრეში დგება სვანეთის დიდი გზატკეცილი

საშვილიშვილო საქმე

... ᲘᲒᲘ დაბა ჯვარიდან (წალენჯიხის რაიონი) მესტიამდე 112 კილომეტრზეა გადაჭიმული. გრანდიოზულია მისი მშენებლობის მასშტაბები. აქ, ყველა უბანზე დღედაღამე შეუპოვარი ბრძოლა წარმოებს იმისათვის, რომ საიუბილეო დღეებში იზეიმონ მისი გახსნა.

რესპუბლიკის ამ დიდი და უნიკალური გზის მშენებლობის სიძნელეების წარმოსადგენად მოვიყვანთ ზოგიერთ მონაცემს, რომელიც მშენებლობის დაწყებიდან დღემდეა შესრულებული. დამუშავდა 10 მილიონ 415 ათასი კუბური მეტრი კლდე და მიწა, ჩაისხა 130.214 კუბური მეტრი ბეტონი, დაიხარჯა 4.408 ტონა ასფალტშემკეთელი მასალა, აშენდა 1.368 გრძივი მეტრი 15 ხიდი, ჩაიდო 3.438 გრძივი მეტრი მილები, ასი ათასობით კვადრატულ მეტრზე დაიგო ასფალტი, რომელზეც მარტო ბიტუმი დაიხარჯა 4.500 ტონა და სხვ.

ყველა ეს დიდი და რთული სამუშაო ძირითადად სამი უკანასკნელი წლის მანძილზე შესრულდა. მანამდე კი, 1962 წელს დაწყებული მშენებლობა, როგორც იტყვიან, კუს ნაბიჯით მიდიოდა. საერთოდ ჯვარი-მესტიის გზის მშენებლობა ჯერ კიდევ 1965 წელს, შემდეგ 1969, და ბოლოს 1972 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმეს არ ეწერა დამთავრება.

1972 წლის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მაღალმთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს, მათ შორის ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლობასა და რეკონსტრუქციას.

შეიქმნა საგზაო მშენებლობის რაიონული შტაბი სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მ. უშხვახის ხელმძღვანელობით. მთელი რაიონის მოსახლეობა ფეხზე დადგა მშენებლობაზე მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის უშუალო დახმარებით დიდი ღონისძიებები განხორციელდა წინა წლების ჩამორჩენის დასაძლევად. შედეგმაც არ დააყოვნა.

... ჩვენც ამ გენერალური იერიშის დასასრულს ჩავედით მესტიაში. ყველგან საზეიმო განწყობილებაა. ახალი კონსტიტუციის მიღებას, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს დამთხვა მესტიელთა საუკუნოვანი ოცნების განხორციელება — მაგისტრალური საავტომობილო გზის მშენებლობის დამთავრება, რაც უსაზღვრო სიხარულს გვრის და შრომის ახალ-ახალი გამარჯვებისათვის მოუწოდებს მაღალმთიანი რაიონის თითოეულ მშრომელს.

ვის არ შეხვედებით და ვის არ ნახავთ ამ დღეებში აქ. რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ გზის მშენებლობასთან, აქ არიან ჩამოსული, რომ ადგილზევე გადაწყვიტონ წამოჭრილი და მოსაგვარებელი საკითხები, ოპერატიულად დაეხმარონ მშენებლებს ამ გადამწყვეტ დღეებში.

ბევრი საქმე აქვს პარტიის მესტიის რაიკომის პირველ მდივანს ბორის სარალიძეს, ამიტომ გვირჩევს მშრალი ციფრების ნაცვლად ადგილზე ვნახოთ მშენებელთა დიდი შრომის ნაყოფი.

ვათვალიერებთ მშენებლობას. ფართო მოასფალტებული გზა, ახალი ხიდ-ბოგირები ისედაც თვალწარმტაცე ხეობას უფრო მეტ ეშხსა და იერს მატებს. მიუხედავად სუსხისა და ქარბუქისა, მშენებლები ოფლად იღვრებიან, სამთო გზას არეგულირებენ. საქმე ის გახლავთ, რომ დიდი ზეიმი კარზეა მომდგარი. მშენებლებს არც ერთი დეტალი არ უნდა გამორჩეთ, რომ სტუმრებმა წუნი ვერ დასდონ მათ ნახელავს.

მშენებლობაზე ურთულესი და უნიკალურია ხაიშ-დიხის გზის



17,5 კილომეტრიანი მონაკვეთი. შოლტივით მოქნეული გზა, რომელიც კლდეებსა და მდინარე ენგურის ვიწროებში მიიკლაკნება, ადრე სახიფათო იყო მგზავრობისათვის — მანქანის პრობლემები თოქმის ჰაერზე ეკიდა ხოლმე, ამიტომ მდინარისაკენ მორებს აწყობდნენ.

სალი კლდეების გამონგრევა და გზის გაფართოება დიდად გაჭირდა, ამიტომ ამ მონაკვეთის მშენებლობა 1976 წელს დაევალა „საკჰიდროენერგოშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის სამმართველოს (უფროსი ა. ჩალაძე).

... შემოგვაღამდა. მსუბუქი მანქანა თოვლის ფანტელში გზას ძლივს მიიკვლევს. აქა-იქ ზვავი ჩამოწვა. ბულდოზერები შეუდგნენ მის გაწმენდას. საუკუნოვანი ნაძვის ხე მთის კორწოს მოწყდა და ელექტროდენის მუდმივი ხაზი გაწყვიტა. ენგურის ხეობაში წუთით უკუნმა ღამემ დაისადგურა.

ძნელია სტიქიასთან ჭიდილი. იგი გმირობას და თავდადებას მოითხოვს. სამთოელები სიძნელეებს როდი ეპუებიან. ხაზის აღდგენას დიდხანს მოუნდნენ და აი პროექტორებმა კვლავ გააჩახჩახეს ხეობა. მშენებლებთან ჯარასავით ტრიალებდა სამმართველოს უფროსი ა. ჩალაძე.

ენგურზე ყველაზე რთული ავიანების მშენებლობაა, რომლის გადაწყვეტას თვით სამმართველოს უფროსს ბევრი ფიქრი და დრო მოუნდა. ახლა ორ ადგილს ამშვენებს სამთოელთა ეს ნახელავი, მისი სიგრძე ასობით გრძივი მეტრია.

— დიდი ხანია ჩვენი სამუშაოები გეგმის მიხედვით შეასრულეთ, — გვითხრა ა. ჩალაძემ, — მაგრამ გზის მშენებლობის საბოლოო დამთავრებამდე დავრჩით და სხვა დავალებების შესრულებას შევუდექით. 25 კილომეტრ გზაზე შავი საფარი დავაგეთ, შეგასრულეთ 750 ათასი კუბური მეტრი მიწისა და კლდის სამუშაო, ქვედა და ზედა საყრდენზე ჩავასხით 28 ათასამდე კუბური მეტრი ბეტონი.

მშენებელთა წარმატება დიდად არის დამოკიდებული ტრანსპორტის მუშაკების გამართულ მუშაობაზე. იგი მთავარი ძარღვია ამ დიდი მშენებლობისა. დარში და ავდარში, თოვლსა და ყინვაში დაკლაკნილ და ციცაბო გზებზე უხდებოდათ მათ მუშაობა. აქ შეეხვდით და ვესაუბრეთ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გენერალურ დირექტორს გრ. ნარმანიას, რომელმაც გვითხრა:

— წინა წლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მარტო წლეულს გზის მშენებლობაზე ყოველდღე მუშაობდა ჩვენი სამინისტროს 150 თვითმცლელი მანქანა. დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს აჭარის, ქუთაისის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ცხაკაიის და სამტრედიის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებებმა.

უკანასკნელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. დიდი ზეიმისთვის ემზადებიან სახელოვანი მშენებლები, აჯამებენ ნამუშევარს, წუნი თუ სადმე შენიშნეს — ასწორებენ, რომ მათი ნახელავის საყოველთაო-სახალხო შემოწმების დღეს — ზეიმის დღეს პირნათლად შეხვდნენ.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო აუწყებს რესპუბლიკის მოსახლეობას, რომ ზუგდიდი-მესტიის გზის მშენებლობის დამთავრებასა და მის ექსპლოატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით 29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ დანიშნულია რეგულარული საავტობუსო და სატაქსომოტორო მიმოსვლა ზუგდიდსა და მესტიას შორის.

ᲐᲕᲢᲝᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ.

სურათებზე: მარცხნივ — მდინარე ენგურზე კიდული რკინა-ბეტონის ავიანი. მარჯვნივ — გზის მშენებლობის უკანასკნელი მეტრები.
მრ. ჯაფარიძისა და ს. კილაძის ფოტოები.

საკლესიო

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოგვცემს

მშვიდობის დიდი ქომაგი

საბჭოთა გამოფენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკლესი). „ხალხი და პროგრესი, 1977 წელი“ — ასე ეწოდება საკლესის ფოტოგამოფენას, რომელიც ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიხსნა. ფოტოგამოფენა ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. იგი მნახველებს მოუთხრობს საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებებზე კომუნისტური მშენებლობაში, მის ბრძოლაზე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, ხალხთა თანამშრომლობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

გამოფენის ცენტრშია ფოტოპანო, რომელზეც ლენინის ეპოქიდან კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა საბჭოთა კავშირში ფიზიკურ ვიზიტად მყოფ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან კ. ვალდჰაიმთან. ამ შეხვედრის დროს, რომელმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში დიდი რეზონანსი გამოიწვია, ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ უპირს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცადინეობას, რომლის მიზანია საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება და სახელმწიფოებს თანამშრომლობის განვითარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს თანამშრომლები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირისა და მთელი ოგი სოციალისტური ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები.

„ეს დიდებული გამოფენა ნათლად და დამაჯერებლად მოგვითხრობს საბჭოთა ხალხის წარმატებებზე შრომაში, მეცნიერებასა და კულტურაში“, — ასე შეაფასა ექსპოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოფენების კომიტეტის მდივანმა ჯ. რალფმა.

„ეს გამოფენა სიმბოლურად გამოხატავს, რომ საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ლენინურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს, გულწრფელად ესწრაფვის მტკიცე მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას. იგი ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმე“, თქვა ჩეხოსლოვაკიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლ. შიდმა.

საკალრისი პასუხი რეაქციის ხრიკებს

ᲑᲝᲜᲝ. (საკლესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეგარკვენე წრეები, რომლებიც „ტერორიზმთან ბრძოლის“ მოწოდებებით ინიღბებიან, სულ უფრო ვართოდ აჩაღებენ კამპანიას, რომლის მიზანია ძირი გამოუთხარონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრესული ძალების, უწინარეს ყოვლისა კი გერმანელთა კომპარტიის პოზიციებს.

ამას ისახავს მიზნად, კერძოდ, რადიკალურ-დემოკრატიული კავშირის ბადენ-ვიურტემბერგის ორგანიზაციის ოფენბურგის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციაა, რომელშიც წამოყენებულია როგოაციული მოთხოვნა გერმანელთა კომუნისტური პარტიის კრძალვის შესახებ.

გერმანელთა კომპარტია გადაჭრით ამხილებს ანტიკომუნისტურ ამპანიას. აცხადებს, რომ დასავლეთგერმანელი კომუნისტები ვლავაც აქტიურად იბრძოლებენ მრომელთა საარსებო დემოკრატიული და სოციალური უფლებებს, მშვიდობის, თანამშრომლობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ამავე დროს გერმანელთა კომპარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია ყველა დემოკრატმა ერთად იმოქმედოს, რათა საკადრისი პასუხი გასცენ რეაქციის გაძლიერებულ ხრიკებს.

სხდომა პეკინში

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 26 ოქტომბერი. (საკლესი). აქ გამოაცხადეს, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლთა კრების მუდმივი კომიტეტის მორიგ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება მომავალი წლის გაზაფხულზე გამართონ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლთა ახალი — მეხუთე მოწვევის კრების სესია. ამ სესიის დღის წესრიგში იქნება მოხსენება მთავრობის მუშაობის შესახებ, ცვლილებათა შეტანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში, ორგანიზაციული საკითხები.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲔᲡᲠᲘᲓᲐᲜ

ინციდენტი აბუ-დაბში

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 25 ოქტომბერი. (საკლესი). როგორც ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი იუწუება, აბუ-დაბის აეროპორტში დღეს მოკლეს არაბთა გაერთიანებული საემიროების საგარეო საქმეთა მინისტრი ალ-გაბაში. ამ სახელმწიფოს ინფორმაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ მკვლელს უნდოდა მოეკლა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჰ. ჰადამი. ეს უკანასკნელი არ დაზარალებულა, მაგრამ დაიღუპა მის გვერდით მყოფი ალ-გაბაში. მკვლელი დაპატიმრეს.

„ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘ“ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ (საკლესი). აქ გაიმართა გამოძიების ფედერალური ბიუროს სიმბოლური „სახალხო გასამართლება“, რომელიც გადაიქცა მრისხანე პროტესტად იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალნი კვლავ ფეხქვეშ თელავენ ამერიკელთა ელემენტარულ უფლებებს, ოფიციალური ვაშინგტონი კვლავ მიმართავს პირფერულ პროპაგანდისტულ კამპანიას „ადამიანის უფლებათა დაცვისათვის“. ეს „ტრიბუნალი“ მოეწყო ქვეყნის მთელი რიგი პროგრესული ორგანიზაციების ინიციატივით.

„ᲢᲘᲒᲠᲘᲡᲘ“ ᲡᲐᲜᲐᲛᲚᲝᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲔᲚ-ᲙᲣᲠᲜᲐ (ერაყი), 26 ოქტომბერი. (საკლესი). ნორვეგიელი მეცნიერი, პროფესორი ტურ ჰეიერდალი და მისი ეკიპაჟი ამთავრებს ლერწმის გემით „ტიგრისით“ ახალი საზღვაო მოგზაურობისათვის მზადებას. მისი გზა სპარსეთის ყურით ინდოეთის ოკეანეში გავა. ექსპერიმენტის მიზანია იმ ჰიპოთეზის დადასტურება, რომ მესოპოტამიის ძველი მკვდრნი პირველნი იყვნენ ჩვენი პლანეტის ისტორიაში, ვინც გაბედა ოკეანე გადაეცურა. პირველი შეჩერება დაგეგმილია ბახრეინზე.

„ტიგრისი“ სანაოსნოდ წავა ნოემბრის დამდეგს.

მოკლედ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

„ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚ-6“

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად 1977 წლის 25 ოქტომბერს 15 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორიიდან შუა განედებში 1500 კილომეტრ სიმაღლეზე გაუშვეს გეოფიზიკური რაკეტა „ვერტიკალ-6“.

„ვერტიკალ-6“ გეოფიზიკური რაკეტა განაგრძობს დედამიწის ატმოსფეროს და იონოსფეროს, აგრეთვე დედამიწის ატმოსფეროსთან მზის მოკლეტალღიანი გამოსხივების ურთიერთმოქმედების კომპლექსურ კვლევას.

173 კილომეტრ სიმაღლეზე რაკეტას გამოყოფილ სტაბილიზებულ ხელსაწყოს კონტეინერში დადგმული სამეცნიერო აპარატურა, რომელიც დამზადებულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

„ვერტიკალ-6“ გეოფიზიკური რაკეტის ფრენის დროს მოეწყო აგრეთვე იონოსფეროს სხვადასხვა პარამეტრის მიწისზედა გაზომვა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკების სპეციალისტები მონაწილეობდნენ „ვერტიკალ-6“ რაკეტაზე დადგმული სამეცნიერო აპარატურის დამონტაჟებასა და გამოცდაში, აგრეთვე მის გაშვებაში.

ამავე დროს „ვერტიკალ-6“ გეოფიზიკური რაკეტის გაშვების რაიონში უშვებენენ მეტეოროლოგიურ რაკეტებს სხვადასხვა ატმოსფერული პარამეტრების კომპლექსური გაზომვის, აგრეთვე ატმოსფეროს რაკეტული ზონდირების ახალი მეთოდებისა და სისტემების დამუშავების მიზნით. ამ რაკეტებზე დადგმული იყო სამეცნიერო აპარატურა, რომელიც შეიმნეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სპეციალისტებმა.

ერთობლივი ექსპერიმენტის მონაწილე ქვეყნების სამეცნიერო ორგანიზაციებმა დაიწყეს მიღებული ინფორმაციების დამუშავება.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-960“

1977 ᲬᲚᲘᲡ 25 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-960“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკლესი).

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ოქროს თასი— ნონა გაფრინდაშვილს

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘᲡ დედაქალაქ კარაკასში ხუთ დღეს მიმდინარეობდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდეს) კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალთა შორის ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ და მსოფლიოს ჩემპიონი ვაჟთა შორის ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲐᲞᲝᲕᲘ. ახლახან ნონა გაფრინდაშვილი თბილისში დაბრუნდა. გუშინ მას შეხვდა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი და რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

— რა საკითხები იყო განხილული კონგრესზე?

— სანამ უშუალოდ კითხვას ვუპასუხებდე, უპირველეს ყოვლისა მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით წარმატება მივულოცო მათი ჩიბურთაღლიქეს და მის მწვრთნელს საერთაშორისო დიდოსტატს ედუარდ გუფელდს ტალინში მოპოვებული გამარჯვებისათვის. ასევე ვულოცავ მიიასი და თამაზ გიორგაძეს საერთაშორისო დიდოსტატობას, რომელიც მათ კარაკასში მიმდინარე ფიდეს კონგრესმა მიანიჭა.

ფიდეს კონგრესი იხილავდა რეგლამენტებს, თუ როგორ გაიმართება მსოფლიო პირველობა მამაკაცებს შორის. ამის შესახებ გეზეთებიდან მკითხველები საკმაოდ არიან ინფორმირებული. გადაწყდა აგრეთვე ქალთა და მამაკაცთა ოლიმპიადების თარიღი, მაია ჩიბურდანიძისა და ალა კუშნირის ფინალური მატჩის დრო. იგი უნდა გაიმართოს მომავალი წლის იანვარ-თებერვალში. მატჩის დამთავრებიდან ექვსი თვის შემდეგ შეეხვედება გამარჯვებულს. ქალთა შორის მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ციკლში ორი საზონთაშორისო ტურნირი შედიოდა. კონგრესზე მიიღეს დადგენილება, რომ ქალთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის პრეტენდენტთა გამოსაკვლევლად მხოლოდ ერთი საზონთაშორისო ტურნირი მოეწყობა.

— მსოფლიო პირველობაზე თბილისში თქვენი და ნანა ალექსანდრიას მატჩის დახურვის დროს ფიდეს გენერალურმა მდივანმა ქალბატონმა ინესა ბეკეტმა განაცხადა, რომ დაწესებულიყო ოქროს თასი ქალთა შორის მსოფლიოს იმ ჩემპიონისათვის, რომელიც ზედიზედ სამჯერ შეინარჩუნებდა ამ ტიტულს და სამუდამოდ გადასცემოდა მას. იყო თუ არა ამის შესახებ ლაპარაკი კონგრესზე?

— მომავალ წელს არგენტინაში გაიმართება საჭადრაკო ოლიმპიადა. ფიდეს პრეზიდენტმა მაქს ეივენ კონგრესზე განაცხადა, რომ ოქროს თასი უკვე გაკეთებულია და მას არგენტინაში ოლიმპიადის დროს ფიდეს კონგრესზე სამუდამო მფლობელობაში საზეიმოდ გადავიტან ნონა გაფრინდაშვილსო.

— თქვენი მომავალი გეგმები?

— ბელგიაში ეწყობა საქართველოს სსრ დღეები, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად 2 ნოემბერს მივემგზავრები. ნოემბერში უნდა მეთამაშა ინგლისში ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე, მაგრამ ტურნირი გადატანილია შემდეგი დროისთვის. დეკემბერში საზღვარგარეთ ვითამაშებ მამაკაცთა ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში. შემდეგ დაველოდები პრეტენდენტთა ოქროს ფიფალური მატჩის შედეგს და ჩემს მწვრთნელ საერთაშორისო დიდოსტატ აივარ გაბრილოთან ერთად შეეფდგები მატჩისათვის მზადებას.

სურათზე: კარაკასის გაზეთების ამონაჭერთა რეპროდუქცია.

ᲕᲣᲠᲗᲣᲚᲘ

ფეხბურთი

„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ლიგას ერთი წლის განმარტების შემდეგ დაუბრუნდა მისი ერთ-ერთი უძველესი ბინადარი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი — მოსკოვის „სპარტაკი“. ეს მაშინ, როცა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს საკავშირო ჩემპიონატში ჯერ კიდევ ორ-ორი მატჩი აქვთ სათამაშო. „სპარტაკმა“ მოღონ ტურში საკუთარ მოედანზე დაამარცხა სომფორიპოლის „ტავრია“ — 3:1, დაგროვა 51 ქულა და მეტოქეები მას უკვე ვეღარ დაეწევიან. საქმე ის არის მხოლოდ, მოიპოვებს თუ არა მეორე საგზურს „პახტაკორი“, რომელმაც ორივე თამაში უნდა წაგოს, მინსკის „დინამო“ რომ გაუსწორდეს ქულებით. ტაშკენტელები ამ ტურში თავისუფალი იყვნენ, დინამოელებმა კი დაამარცხეს „ორჯონიკიძის „სპარტაკი“ და 46 ქულა აქვთ.

ქუთაისის „ტორპედო“ აშხაბადის „კოლხოზჩის“ მასპინძლობდა და გაიმარჯვა — 3:2. „ტორპედო“ 35 ქულით მეცხრე ადგილზეა.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში „ლოკომოტივი“ საკუთარ სტადიონზე შეხვდა თანამოქალაქე „ტორპედოს“ გუნდს. ეს იყო საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის გამოტოვებული მატჩი. ამ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში. დამაბული ასპარეზობა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 2:1.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜ უკვე გეუწყებოდით მეორე ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ზონებში გამარჯვებულთა შესახებ. გაიმართა წოლისყრა მეტოქეთა დასაწყებლად. აი ვინ შეხვდება ერთმანეთს საკუთარ და მოწინააღმდეგის მოედნებზე — კრასნოდარის „კუბანი“-იანგიერის „იანგიერი“, ნალჩიკის „სპარტაკი“-ვლადიოსტოკის „ალიგრისი“, სმოლენსკის „სპარტაკი“-ოდესის სკა. პირველი ორი წყვილის მატჩები კრასნოდარსა და ნალჩიკში გაიმართება 30 ოქტომბერს. მესამე — სევასტოპოლში — მეორე დღეს. სამივე განმეორებითი შეხვედრა დანიშნულია 5 ნოემბრისათვის.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲠᲘᲜᲐ. (საკლესი). თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა, რომლებიც ტურნეს ეგანარძობენ მადაგასკარში, გამართეს მეექვსე მატჩი ტულეარში და დაამარცხეს ამ ქალაქის ნაკრები ანგარიშით 142:56.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის შვილები“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.45 — „კინონარკვევი, 18.05 — მოსწავლეთათვის, რუსული ენა, 18.35— გადაცემა ახალგაზრდობისათვის, „შეხვედრა წეთელ ხიდთან“, 19.15 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 19.45 დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის. „მომქრესპუბლიკების მუსიკა ლენინური ხელოვნებაში“ — სომხეთის სსრ, 20.30 — „კანონი, რომელსაც ველოდით“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სატელევიზიო ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ჩირადაც არ მიღირს“, (ფერადი),

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 18.30 — განცხადებები, 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამედ ვურუნი“, 19.00 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 19.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სილაპები“ (ფერადი), 20.20 — მხატვრული ფილმი „სალუტ, მარია“. მეორე სერია, 21.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პირველი და მეორე“, 21.50 — „საბჭოთა ლიტერატურა-60“. „სამშობლოს დრომად ანთია“ — ი. გრიშაშვილი.

ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲓᲠᲐᲛᲐ; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲫᲕᲔᲚᲘ ᲕᲝᲚᲔᲑᲘ; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲛᲔᲭᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲜᲘᲡᲐᲛ; მინიატიურების სახელმწიფო — ᲜᲐᲪᲐᲠᲔᲑᲘ (გასახლებული დადგმა); ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — ᲛᲝᲚᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲫᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის პრ., 2)

29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა უმაღლესი ლიგა „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (კიევი)

დასაწყისი 18 საათზე

მშრომელთა კოლექტივების სურვილისამებრ, ბილეთები გაიყიდება, წინათ გამოცხადებულის ნაცვლად, იწარმოებს 27, 28 და 29 ოქტომბერს ქალაქის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდ-ვნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 02332 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14